



შ. აშირაძის შვილი

საქართველოდან
სხვადასხვა დროს გატანილი
სამუზეუმო განკეულობა
და მისი დაბრუნება

თბილისი

შ. აბიანაშვილი

საქართველოდან
სხვადასხვა დროს გაგანილი
სამუზეუმო განძეულობა და
მისი დაბრუნება



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1968

ნაშრომში მოთხრობილია საქართველოდან რუსეთში და საზღვარგარეთ სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობისა და მისი დაბრუნების შესახებ. აქვე მოცემულია განძეულობის მოკლე სია.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ძირიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის განვითარების გეზი, გაამდიდრა კაცობრიობის კულტურა ახალი იდეებით და შინაარსით. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგის მონაპოვარი გახადა მშრომელი მასების ნამდვილ საკუთრებად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დიდი ლენინის ინიციატივით, მის თანამებრძოლთა — ა. ვ. ლუნაჩარსკის და მ. ნ. პოკროვსკის უშუალო ხელმძღვანელობით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი კულტურისა და ხელოვნების ძეგლების მოვლას, დაცვას და მეცნიერულ შესწავლას.

ა. ვ. ლუნაჩარსკის კალამს ეკუთვნის საგაზეთო წერილები, რომლებშიც დაწვრილებითაა განხილული, თუ რა მნიშვნელობა აქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილ კულტურისა და ხელოვნების ძეგლებს. „რატომ ვიცავთ ჩვენ დიდ თეატრს?“ „რატომ ვიცავთ ჩვენ საეკლესიო განძეულობას“, „რატომ ვიცავთ ჩვენ რომანოვების სასახლეებს“ და სხვ. ამ სათაურები იმ წერილებისა, რომლებიც გამოაქვეყნა ა. ვ. ლუნაჩარსკიმ ოციან წლებში იმ დროის გაზეთებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია არა მხოლოდ იმ კულტურულ მონაპოვარს, რომელიც შექმნა რუსმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე, არამედ სათანადო მზრუნველობა გამოიჩინა საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ნაციონალური კულტურის დაცვისა და მეცნიერული შესწავლის საქმეშიც. დიდი ლენინის ინიციატივით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1922 წ. 20 ივნისს გამოტანილ იქნა დადგენილება (N 48 (4), რომლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას გაეცა სამუზეუმო და საარქივო კოლექციები, რომლებიც წადებული იყო მუზეუმის მთავრობის მიერ და ინახებოდა რუსეთის ფედერაციის საცავებში. წინასწარ თათბირზე, რომელზედაც განხილული იყო ზემოხსენებული დადგენილების განხორციელების გეგმა, პროფ. მ. ნ. პოკროვსკიმ, რომელიც იმ დროს ასრულებდა განათლების სახალხო კომისიის მოადგილის თანამდებობას (სახალხო კომისარი იყო ა. ვ. ლუნაჩარსკი) პირდაპირ განაცხადა: „მეფის ხელისუფლება ავიწროებდა საქართველოს, ითვისებდა და იტაცებდა ერის კულტურის განძს, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა გამოასწოროს ეს შეცდომა და განამტკიცოს რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობა“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირადად მე 1923 წლის განმავლობაში არა ერთხელ მომიხდა ა. ვ. ლუნაჩარსკის შეწუხება ძველი ქართული კულტურისა და ხელოვნების ძეგლების გადმოცემის პრაქტიკული განხორციელებისას და იგი ყოველთვის გულწრფელად გვეხმარებოდა ამ საქმეში.

საქართველოს განძეულობის გატაცებისა და მითვისების საქმეში დიდი

„ღვაწლი“ მიუძღვის ქუთაისის გუბერნატორ ლევაშოვს. 1856 წ. მან დიდი ზიანი მიაყენა გელათის მონასტრის საგანძურს: წაიღო და მიითვისა ღვთისმშობლის მინაქრის ხატი ვედრებისა (X საუკუნე — ხახულის ხატის ძირითადი ნაწილი), მინაქრებით შემკული სახარების მოჭედებულობა (XI—XII სს.), რომელიც ამჟამად გაყოფილია ორ ნაწილად: ერთი ნაწილი დაცულია ბერლინის სასახლის მუზეუმში, მეორე კი შეადგენს ბელგიელი კოლექციონერის საკუთრებას.

პეტერბურგელმა ფოტოგრაფმა საბინ გუსმა ეგზარქოსის დახმარებით „ხატების განახლების მიზნით“ გაიტაცა ჯუმათისა და შემოქმედის მონასტრებიდან შესანიშნავი ქართული მინაქრები და ვერცხლით ნაჭედი ხატები და სხვა (დაწვრილებით ყველა ცნობა მოყვანილია ჩემს მონოგრაფიაში მინაქრების შესახებ, რომელიც გამოიცა პარიზში (ფრანგულ ენაზე), მილანში (იტალიურ ენაზე) და ნიუ-იორკში (ინგლისურ ენაზე).

საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილების რეალიზაციის მიზნით შეიქმნა საგანგებო კომისია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის ფედერაციის განათლების კომისარიატისა და საბჭოთა საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობით. აღნიშნული კომისიის მუშაობის ორგანიზაცია მიენდო დ. ა. ჯგუშისას — საქართველოს წარმომადგენელს რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში აკადემიური საქმეების განხრით — და მის მოადგილეს ნ. ი. ყორღანისას. ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: კ. ს. კეკელიძე, ა. გ. შანიძე, პ. ი. ინგოროყვა და ს. ნ. კაკაბაძე. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მხრით კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები: ნ. ი. მარი, ს. თ. ოლდენბურგი, ვ. ვ. ბარტოლდი და ი. ნ. მარი (ნიკო მარის ვაჟი). კომისიის მუშაობის შედეგად 1922 წ. 29 აგვისტოს მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: „ყველა ქართული წარმოშობის რეგალიები და სიძველენი, რომლებიც დაცულია რუსეთის სრ ფედერაციის მუზეუმებსა და საცავებში მათი ქართული წარმოშობის დასაბუთების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს სს რესპუბლიკას“ (ოქმი № 57, პ. 12).

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე შედგენილ იქნა ზუსტი სიები ძველი ქართული ხელნაწერების, ისტორიული დოკუმენტებისა და ხელოვნების ნაწარმოებთა, რომელთა გადაცემა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის აღნიშნულ კომისიას მიაჩნდა საჭიროდ. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა დამევალა მეც. კომისიის ქართველ წევრთა უმრავლესობა საქართველო დაბრუნდა, ხოლო მე რუსეთში დავრჩი იმ კოლექციების სიების შედგენა და მიღებაში მონაწილეობისათვის, რომელთა შესახებ უკვე გარკვეული თანხმება იყო მიღწეული. ჩემთან ერთად, როგორც ექსპერტი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან, ამ მუშაობაში მონაწილეობდა ა. ნ. გენკო. ჩვენ შევადგინეთ ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იმ ხელნაწერთა აღწერილობა, რომლებიც გადაეცა საქართველოს («Опись рукописей Публичной библиотеки, переданных Грузии, составленная экспертами А. Н. Генко и Ш. Я. Амиранашвили в заседаниях от 24, 25, 26, 30, 31 мая и 1 июня 1923 года»).

იური მარმა და მე შევადგინეთ სია საქართველოსათვის გადაცემული იმ ქართულ ხელნაწერებისა, რომლებიც დაცული იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმში. ამრიგად, ქართული ხელნაწერების ძვირ-

ფასი კოლექციის ძირითადი ნაწილი, რომელიც ლენინგრადში იყო დაცული, ჩამოტანილ იქნა საქართველოში და ამჟამად ეს კოლექცია ამშვენებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებს.

მოსკოვში მუშაობის დროს განსაკუთრებით მაინტერესებდა მ. პ. ბოტკინის კოლექციის ბედი, რომელშიც დაცული იყო ქართული მინაქრების ბრწყინვალე ნიმუშები, რომელთა დიდი ნაწილი მოტაცებული იყო საქართველოს საგანძურადან: გელათიდან, მარტვილიდან და ჭუმათიდან. დიდი გამოკითხვის შემდეგ გამოიჩვენა, რომ მ. პ. ბოტკინის კოლექცია მთლიანად იყო ჩამორთმეული მთავრობის მიერ და ინახებოდა სახელმწიფო საგანძურში (Государственное хранилище ценностей). მე დაუყოვნებლივ მივმართე ამ დაწესებულების დირექტორს, რომელმაც მაცნობა, რომ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შეუძლია მას მოგვცეს გარკვეული პასუხი — ინახება თუ არა მათ საგანძურში მ. პ. ბოტკინის კოლექცია.

ამ ცნობამ ძალიან შემაწუხა. რამდენიმე დღის შემდეგ, სახელდობრ 1923 წლის 12 აპრილს, თხოვნით მივმართე რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სამდივნოს მოეცათ ჩვენთვის რამდენიმე შემოწმებული ცალი მთავრობის დადგენილებისა საქართველოსათვის საარქივო მასალების და სამუზეუმო კოლექციების გადმოცემის შესახებ.

როცა ხსენებული დადგენილების ასლები მივიღე და გამოვედი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოდან, რომელიც იმ დროს კრემლის ერთ-ერთ სასახლეში იმყოფებოდა, სრულიად მოულოდნელად სასახლის მახლობლად შევხვდი ი. სტალინს, ა. ენუქიძესა და ა. სვანიძეს. მე კარგად ვიცნობდი ა. სვანიძეს, რომელიც ჩემი სტუდენტობის დროს საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო საქართველოს უძველესი ხანის ისტორიის საკითხებით, კარგად ფლობდა უცხო ენებს, განსაკუთრებით კი გერმანულ ენას, პირადად მე გარკვეული ჟურნალებით მეპყრობოდა. მან თავაზიანად გააცნო ჩემი საქმიანობა ი. სტალინსა და ა. ენუქიძეს და მკითხა, როგორ მიმდინარეობდა კოლექციების მიღების საქმე. მე დაწვრილებით მოვახსენე საქმის ვითარება და კერძოდ შევჩერდი იმ დაბრკოლებაზე, რომელიც აფერხებდა მ. პ. ბოტკინის კოლექციების მიღების საქმეს. ა. სვანიძემ მაშინვე მიმართა ი. სტალინს: „ამაგო სოსო, გთხოვთ დაეხმაროთ ამ ახალგაზრდას“. ი. სტალინმა უბის წიგნი ამოიღო, თავისი ტელეფონის ნომერი ჩაწერა, ფურცელი გადმომცა და თხზრა: „ხვალ დილის 11 საათზე დამირეკეთ და მაცნობეთ საქმის ვითარება“.

მე ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთელი ღამე არ მეძინა. დილით მე გამოვეცხადე სახელმწიფო საგანძურში. დირექტორმა დამინახა თუ არა გადაჭრით მითხრა: „ყმაწვილო, გირჩევთ ნუ კარგავთ დროს, ვიმეორებ, რაც უკვე გითხარით. მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გაირკვევა ის საკითხი, რაც თქვენ ასე გაინტერესებთ“. მე თხოვნით მივმართე დირექტორს, ნება მოეცა მისი ტელეფონით დალაპარაკებისა და როცა ნებართვა მივიღე, უშუალოდ დაველაპარაკე ი. სტალინს, რომელსაც ქართულად ვაცნობე საქმის ვითარება. მან მაშინვე მიპასუხა ქართულადვე: „დაიცადეთ, პასუხს მიიღებთ“. ამის შემდეგ ი. სტალინი ტელეფონით ესაუბრა საგანძურის დირექტორს. საუბრის დამთავრებისთანავე მან სასწრაფო განკარგულება გასცა, რომ მაშინვე ეჩვენებინათ

ჩემთვის მ. პ. ბოტკინის კოლექცია; მე გადავსინჯე იგი; საბედნიეროდ, ქართული მინაქრების კოლექცია მთლიანად აღმოჩნდა. შევადგინე მათი სია და მიღება-ჩაბარების აქტი. კოლექციაში აღმოჩნდა გელათიდან წაღებული ღვთისმშობლის ხატი მინაქრისა, რომელიც ერთ დროს ამშვენებდა ხახულის კარედი ხატის ცენტრალურ ნაწილს; იქ იყო აგრეთვე ჭუმათისა და შემოქმედის ტაძრების მინაქრის ხატები, ჯვრები და სხვა განძეულობა. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ეს განძეულობაც საქართველოში ჩამოვიტანეთ და ამჟამად ქართული მინაქრების ეს ძვირფასი კოლექცია, სხვა ეროვნულ განძეულობასთან ერთად, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ქართული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა სამშობლოში დაბრუნებას სხვა მრავალი დაბრკოლება და სიძნელე გადაეღობა. დავასახელებ მხოლოდ ერთს, იმ დროისათვის მეტად დამახასიათებელ, ფაქტს. მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო მუზეუმში დაცული იყო საფარის ეკლესიის კანკელის ფილები, შემკული შესანიშნავი რელიეფური ქანდაკებებითა და ჩუქურთმებით, რომლებიც რუსეთში ჩამოტანილ იქნა პ. ს. უვაროვას მიერ. იქვე იყო დაცული რამდენიმე ფრაგმენტი წებელდის კანკელისა და ბედიის ტაძრის ქანდაკებათა ნიმუშები. საფარის კანკელის რელიეფური კომპოზიციები შესრულებულია XI საუკუნის პირველ ნახევარში და მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობით, ოსტატობის მაღალი დონით წარმოადგენს ქართული ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებს, რომელსაც ხელოვნების ზოგადი ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავრობის დადგენილებით საქართველოს დაუბრუნდებოდა მხოლოდ ქართული წარმოშობის განძეულობა, რაც სათანადოდ უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. ცნობილი რუსი ისტორიკოსისა და ნუმიზმატის ა. ვ. ორენიკოვის მტკიცებით კი საფარის კანკელი არ იყო ქართული ხელოვნების ნაწარმოები; იგი, მეცნიერის აზრით, უთუოდ ბიზანტიელ ოსტატს ეკუთვნოდა. ამ საკითხის გარკვევის მიზნით განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ პროფ. მ. ნ. პოკროვსკიმ დანიშნა პაექრობა, რომელიც მისივე თავმჯდომარეობით გაიმართა. პაექრობაში ვმონაწილეობდი მეც, როგორც ექსპერტი საქართველოს ხელოვნებათმცოდნეობის დარგში. დისპუტის მონაწილეთა ყურადღება მივაქციე ერთ მეტად დამახასიათებელ გარემოებას. საფარის კანკელის ერთ ფილაზე, რომელზედაც გამოსახულია მეტად რთულ კომპოზიცია — ღვთისმშობლის დაბადება, ღვთისმშობლის დედა ხის მოჩუქრთმებულ სარეცელზე წევს, რაც სავსებით უცნობია ბიზანტიური, ძველსლავური და დასავლეთ ევროპის ხელოვნებისათვის, ხოლო გვხვდება ქართულ ხელოვნებაში. სადავო საკითხი საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდა. მ. ნ. პოკროვსკის 1923 წ. 19 ივლისის განკარგულებით საფარის კანკელის, წებელდისა და ბედიის ტაძრის ქანდაკებანი საქართველოს გადაეცა და ამჟამად ყველა აღნიშნული ძეგლი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს ამშვენებს.

ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნების საქმის დიდი წარმატებით აღფრთოვანებულმა 1923 წ. ივნისის ბოლოს წერილი გავუგზავნე საფრანგეთში პროფ. ე. ს. თაყაიშვილს, რომელსაც ვაცნობე მეტად სასიხარულო ამბავი იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ ქართველ ხალხს

დაუბრუნა ისტორიული დოკუმენტები, ხელნაწერები, ხელოვნების თვალსა-
ჩინო ნიმუშები, რომლებიც წაღებული იყო საქართველოდან ცარიზმის დროს.
წერილში დაწვრილებით აღნიშნე ყველა მნიშვნელოვანი ძველი ძველი ქარ-
თული კულტურისა და ხელოვნებისა, აგრეთვე ძველი ხელნაწერები, შემკუ-
ლი ილუსტრაციებით და მინაქრებით, რომლებიც სამუდამოდ გადაეცა სა-
ქართველოს; ამასთანავე, ვთხოვე წერილობით გაეცა პასუხი, თუ როგორ არის
დაცული ის ეროვნული განძი, რომელიც 1921 წელს მენშევიკების მთავრო-
ბამ წაიღო საფრანგეთში. ჩემს წერილზე ე. თაყაიშვილისგან მივიღე პასუხი,
რომელიც დაცულია საქართველოს ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო სა-
ზოგადოების არქივში. საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი პროფ.
ე. თაყაიშვილი გულწრფელად იყო აღფრთოვანებული საბჭოთა მთავრობის
დიდი ყურადღებით ქართველი ერისადმი. მან დამატებით მაცნობა, საბჭოთა
კავშირის რომელ ცენტრებში ინახებოდა კიდევ საქართველოს სიძველეები.
წერილში ე. თაყაიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოდან 1921 წელს
წაღებული განძი კარგადაა დაცული და მას იმედი აქვს, რომ ახლო მო-
მავალში ყველაფერი ქართველ ხალხს დაუბრუნდება.

თუ რა პირობებში მოხდა საქართველოდან 1921 წელს სამუზეუმო გან-
ძეულობის წაღება, ეს დაწვრილებითაა აღნიშნული ე. თაყაიშვილის წერილში,
რომელიც მან საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაწერა (იხ. რ. მეტრევე-
ლი და შ. ბადრიძე; ხელოვნების ისტორიის საინტერესო დოკუმენტი, „საბჭო-
თა ხელოვნება“, №4, 1967, გვ. 54—57).

1935 წ. 9 აპრილს ე. თაყაიშვილმა პარიზიდან გამოგზავნა წერილი საქარ-
თველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა
სამმართველოს უფროსის ვ. ბერიძის სახელზე, სადაც მეტად საყურადღებო
ცნობებია საქართველოდან გატანილი სამუზეუმო განძის შესახებ. მომყავს წე-
რილის ტექსტი.

„ბ-ნო ვუკოლ, როგორც მოგეხსენებათ, თებერვალში 1921 წ. ზოგიერთი
ნივთი ტფილისის მუზეუმებისა და აგრეთვე ის ნივთები გელათის, მარტვი-
ლის და ხობის მონასტრებისა, რომელნიც ინახებოდნენ ქუთაისის ხაზინაში,
წამოღებულ იქნა მთავრობის მიერ საფრანგეთში დასაცავად და მე დანიშ-
ნულ ვიყავ მეთვალყურედ დამფუძნებელი კრების, სამღვდელოების და თვით
მუზეუმების მიერ.

ვინაიდან ზოგი სამუზეუმო ნივთი არეული იყო მთავრობის სხვა საქო-
ნელთან, ამიტომ მარსელში მისვლისას მოვითხოვე კომისია, რომელიც გამო-
ყოფდა სამუზეუმო ნივთებს სხვა ნივთებისაგან და მიიღებდა ზომებს მათი
ჯეროვანი დაცვისათვის.

კომისია შესდგა ოთხი კაცისაგან: პროფესორ ზურაბ ავალიშვილის,
ანდრია დეკანოზიშვილის, იოსებ ელიგულაშვილის და ჩემგან. ის ყუთები
რიცხვით ცამეტი, რომელნიც ტფილისის მუზეუმებიდან იყო წამოღებული
და მუზეუმების ბეჭდებით დაბეჭდილი, კომისიას არ გაუხსნია, სხვები გავხსე-
ნით, ნივთები გადავარჩიეთ და სამუზეუმო ფონდში მოვათავსეთ: ყველა წა-
მოღებული გელათის, მარტვილის და ხობის ნივთები, აგრეთვე ყველა წამო-
ღებული ზუგდიდის სასახლის ნივთები და ყველა ის ნივთები, რომელნიც მთავ-
რობას ხაზინაში ჰქონდა შეგროვილი სხვადასხვა გაუქმებულ დაწესებუ-
ლებათაგან და რომელთაც ახლობელი თუ შორეული მნიშვნელობა ჰქონდა

მუზეუმისათვის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის თუ ხელოვნების თვალსაზრისით. ყველა ნივთები აღწვსხეთ, სია შევადგინეთ, ჯეროვანად ყუთებში ჩავალაგეთ, დავბეჭდეთ მთავრობის ბეჭედით. სულ შესდგა ტფილისიდან წამოღებულიანად ოცდაცხრამეტი ყუთი, რომელნიც ჩავაბარეთ საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას შესანახად მთავრობის წარმომადგენლის—მინისტრის აკაკი ჩხენკელის სახელზე. სხვანაირად შეუძლებელი იყო მოთავსება ნივთებისა, ვინაიდან ნივთები მთავრობის სახელით იყო წამოღებული.


იმ დღიდან უკანასკნელ დრომდე ყუთები იქ ინახებოდა ხელუხლებლად. ხოლო ბოლო დროს ნ. მინგრელსკის ასულმა სალომე ობოლენსკის ქვრივმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში, რომ ზუგდიდის სასახლის ნივთები მას ეკუთვნის როგორც მემკვიდრეს ნ. მინგრელსკისას და ითხოვა წინასწარი „ზაპრეშჩენის“ დადება ამ ნივთებზე. მოპასუხედ დაიბარეს აკაკი ჩხენკელი და ევგენი გეგეჭკორი. სასამართლომ გაარჩია საქმე და „ზაპრეშჩენის“ დადებაზე უარი უთხრა ობოლენსკის ქვრივს. მაგრამ რადგანაც იმ დროს გაუქმდა საფრანგეთში საქართველოს რესპუბლიკის ლეგაცია, ამიტომ სასამართლომ დაადგინა მარსელის ბანკში დადებული 39 ყუთი დროებით შესანახად გადაეცეს მოხელეს ეოდონს, რომელიც შემნახველია აგრეთვე რუსების დატოვებული ნივთებისა. ობოლენსკის ქვრივს ნება აქვს, თუ მოისურვებს, სასამართლოს წესით შეეცადოს უფლების აღდგენას ნივთებზე. მაგრამ მას დღემდის საჩივარი არ დაუწყია და რომც დაიწყოს, იურისტების აზრით, ვერას გახდება, ვინაიდან ნ. მინგრელსკის ქონება დამფუძნებელი კრების დეკრეტით გადარიცხულია კანონიერად საქართველოს სახელმწიფო ფონდში.

სასამართლოს დადგენილების გამო ის 39 ყუთი მარსელის ბანკიდან გადმოუტანიათ პარიზის ბანკში და სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლების თანდასწრებით უჩვენოდ გაუხსნიათ და ნივთები დაუწყვიათ ერთს სულ მცირე ოთახში. აკაკი ჩხენკელი, რომლის სახელზე ყუთები ინახებოდა, არც მიუწვევიათ გახსნის დროს. რათ ინებეს ეს, ჩვენთვის გაუგებარია.

ჩემი მეთვალყურეობა ამდენ ხანს იმაში გამოიხატებოდა, რომ იმ ყუთებისათვის არავის ხელი არ ეხლო და არც უხლიათ, მანამ საფრანგეთის მთავრობის მოხელეს არ ჩააბარეს ყუთები, ამას მარსელის ბანკის გამგეობაც დაამტკიცებს.

თქვენ კარგად იცით, თუ მე როგორ მიყვარს ქართულ სიძველეებზე მუშაობა, მაგრამ ჩემს თავს ნება ვერ მივეცი, რომ რომელიმე ნივთი ან ხელნაწერი ჩამომეღო და ჩემი შესწავლის ობიექტად გამეხადა იმ შიშით, რომ ის ხელნაწერი ან ნივთი არ დამკარგოდა; ზოგიერთმა პარიზის პროფესორმა და განსაკუთრებით ცნობილმა ბიზანტიოლოგმა გ. მილემ მთხოვეს, ნება დამერთო ნივთები ფოტოგრაფიულად გადმოეღოთ თავისი ხარჯით, მაგრამ მე უარი ვუთხარი და ავუხსენი, რომ ყუთები მუზეუმების ბეჭედებით არის დაბეჭდილი და გადმოცემული შესანახად და ჩვენ მოვალე ვართ, ესე გაუხსნელად პატრონთ ჩავაბაროთ-თქო.

ეხლა მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა, ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული. მე აღარა მაქვს საშუალება და უფლება ნივთების დაცვისა და ჯეროვანად შენახვას მეთვალყურეობა გაუწყვიო, ნებაც რომ მქონდეს, ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას, მოვხუცდი, ფეხიც დამიშავ-




ახალგორის ვანი V ს. ძვ. წ.



წმ. გიგია, VI—VII სს.



ჯვარი სანაწილე (ძელი ჭეშმარიტისათვის), ჯვარცმის გამოსახულებით. VIII—IX სს.



ჯვარი სანაწილე (ძელი ჭეშმარიტისათვის). ზურგზე გამოსახულია
ღვთისმშობელი ყრმითურთ. VIII—IX სს.

და, ძლივს დავდივარ. დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდილი იქნება, თუ ის ნივთები ან მისი ნაწილი დაგვეკარგა; თქვენ უწყით, თუ რა წილი მიდევს მე მათ შეკრებაში და მათი დღევანდელი მდგომარეობა მტანჯავს, ვერ დავეშვიდლები, მანამ ის ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება და მუზეუმს არ ჩაბარდება.

ეხლა მე საფრანგეთის მთავრობას მოხსენებას ვუდგენ, რომელშიაც ახსნილია ყოველი გარემოება ამ ნივთებისა, ესე იგი:

1) რომ ეს ნივთები ევაკუაცია ქმნილია საფრანგეთის ყოფილი ელჩის შვეალიეს რჩევითა და დახმარებით.

2) რომ ნივთები შეადგენენ საკუთრებას არა მათ მიერ ცნობილი მთავრობისა, არამედ კერძო მუზეუმებისა, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, წერა-კითხვის საზოგადოებისა, საეკლესიო მუზეუმისა, სამხატვრო გალერეისა და საქართველოს მუზეუმისა.

3) რომ ეს ნივთები მხოლოდ შესანახად ჩაბარებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მეთვალყურედ მე ვიყავი დანიშნული და

4) რომ ეხლა, როდესაც აქ საქართველოს მთავრობის საელჩო მოხსნილია, რომლის სახელზე ნივთები ინახებოდა ბანკში, ის ნივთები უნდა დაუბრუნდეს თავიანთ პატრონებს, ესე იგი საქართველოს მუზეუმებს, მით უმეტეს, რომ ამ მუზეუმების გარშემო და საქართველოს უნივერსიტეტში ეხლა ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა წარმოებს და მკვლევარნი მოკლებულნი არიან საშუალებას ისარგებლონ ამ ნივთებით. მოხსენებული იქნება აგრეთვე, რომ ამჟამად საქართველოში მუშაობენ რუსთაველის იუბილეს გადახდისათვის. ამზადებენ მისი პოემის სამეცნიერო გამოცემას და სამი საუკეთესო ხელნაწერი რუსთაველის პოემისა აქ არის წამოღებული. აგრეთვე მოხსენებული იქნება, რომ საბჭოების ხელისუფლებამ დაუბრუნა საქართველოს ყველა ის სამუზეუმო ქართული ნივთები, რომელნიც წარმოღებული იყო რუსეთში.

ეხლა აუცილებლად საჭიროა, ამ ჩემს მოხსენებას დაერთოს თქვენი, ესე იგი ეხლანდელი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ხმაც და შუამდგომლობა და მუზეუმების საბჭოების მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობისაგან, რომ მათ დაუბრუნდეს მათი კუთვნილი და შესანახად წამოღებული ნივთები. მართალია, წერა-კითხვის და საეკლესიო მუზეუმები ეხლა გადაცემულია უნივერსიტეტისადმი, მაგრამ მათ მაგიერ უნივერსიტეტი აღძრავს შუამდგომლობას, როგორც მათი კანონიერი მემკვიდრე; საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, სამხატვრო გალერეა და საქართველოს მუზეუმი არსებობენ და მათმა გამგეობამ უნდა აღძრან შუამდგომლობა.

გთხოვთ ეს წერილი გააცნოთ საქართველოს რესპუბლიკის ეხლანდელ ხელისუფლებას და დაინტერესებულ მუზეუმებს და დაწესებულებათ და რამდენადაც შეიძლება დაჩქარებით წარმოადგინოთ თქვენი შუამდგომლობა. ამას მოითხოვს ჩვენი ნივთების ინტერესი, რომ განსაცდელში არ ჩავარდეს და არ დაგვეჩაგროს. კიდევ ერთი ცნობა. შესანახი ფული მარტო ერთი წლისაა გადახდილი ორი ათას ხუთასი ფრანკი. დანარჩენს რასაკვირველია მოითხოვენ და უნდა გადაიხადოთ. სამაგიეროდ ბევრს, ერთობ ბევრს ნივთებს მიიღებთ,

რომელნიც წინეთ არ ეკუთვნოდნენ მუზეუმებს. სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ველი თქვენს პასუხს.

ღრმა პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი

როდესაც საფრანგეთის მთავრობა ნებას დაგრთავთ ნივთების მიღებისა, უნდა გამოგზავნოთ ორი ან სამი მუზეუმების წარმომადგენელი, რომელნიც ამ ნივთებს იცნობენ და იმედია თქვენც გამოყვებით. ე. თ.“

მიუხედავად მიღებული ზომებისა, საფრანგეთში წაღებული ქართული განძის დაბრუნება სამშობლოში არ მოხერხდა. დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნებში გავრცელდა ცნობა, რომ პარიზის სახელმწიფო ბანკში დაცულია საქართველოს განძი. ევროპისა და ამერიკის მუზეუმები, კერძო კოლექციონერები შეეცადნენ შეესყიდათ ეს განძი. ზოგიერთი უცხო მეცნიერი და მათ შორის გამოჩენილი ფრანგი მკვლევარი გ. მილე არა ერთხელ ეცადა მიეღო ექ. თაყაიშვილისაგან თანხმობა მოეწყოთ ლუვრში ქართული განძეულობის გამოფენა. მაგრამ ექ. თაყაიშვილმა არ მისცა თანხმობა, იგი უარყოფით პასუხს იმით ასაბუთებდა, რომ ყუთები, რომლებშიც ინახება ქართული განძი, დაბეჭდილია თბილისში ქართული მუზეუმების ბეჭდებით და მათი გახსნა შეუძლებელიაო. გ. მილე დაპირდა ექ. თაყაიშვილს, რომ იგი უზრუნველყოფდა ალავერდისა (1054 წ.) და გელათის (XI—XII სს.) ოთხთავების მინიატურების, აგრეთვე სხვა ქართული ხელნაწერების გამოქვეყნებას. მიუხედავად ამ წინადადებისა, ექ. თაყაიშვილმა არ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება.

გავიდა ღრო, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ფაშისტური გერმანიის ჯარებმა ხელში ჩაიგდეს ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა, შემდეგ, 1941 წლის ივნისში, ისინი შემოესივნენ საბჭოთა კავშირს. ჩვენი სამხედრო ძალების მამაცურმა წინააღმდეგობამ, მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებამ, კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო ფაშისტური გერმანიის განადგურება და გადაარჩინა საბჭოთა კავშირი, ევროპის ქვეყნები და მთელი მსოფლიო ფაშიზმის საფრთხისაგან.

1944 წლის 22 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მორიგ სესიაზე ყოფნისას, მოსკოვში, მოხსენებითი ბარათი წარვუდგინეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ი. ბ. სტალინს. ბარათში ვთხოვდით, დაგვხმარებოდა, რათა გარკვეულიყო, თუ რა ბედი ეწია საქართველოს განძეულობას, რომელიც წაღებულ იქნა მენშევიკების მიერ საფრანგეთში 1921 წელს, ვთხოვდით აგრეთვე, რომ სათანადო ზომები მიეღო მისი დაბრუნებისათვის. ბარათი გადაეცა კრემლის კომენდატური მორიგეს.

იმავე წლის 16 ნოემბერს, როცა კარგა ხნის დაბრუნებული ვიყავი თბილისში, სასწრაფოდ გამომიძახეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მაცნობეს, დაუყოვნებლივ გავმგზავრებულიყავ მოსკოვს, იქედან კი — საფრანგეთში საქართველოს განძეულობის მისაღებად და ჩამოსატანად. მე დაუყოვნებლივ გავემგზავრე მოსკოვს; როგორც იქ გავიგე, სსრკ მთავრობას სათანადო დადგენილება მიეღო საფრანგეთიდან საქართველოს განძეულობის დაბრუნების შესახებ.

მენშევიკურმა მთავრობამ განძეულობის შენახვისათვის საფრანგეთის ბანკს მხოლოდ ერთი წლის ქირა გადაუხადა. მომდევნო ცამეტი წლის განმავ-

ლობაში მას არაფერი არ გადაუხდია ქართული განძის შენახვისათვის, რის გამოც საფრანგეთის მთავრობამ მისი კონფისკაცია მოახდინა როგორც უპატრონო ქონებისა. ყველა ყუთი, რომლებშიც საქართველოს საუნჯე ინახებოდა, საფრანგეთის მთავრობის მოხელეებმა ისე გახსნეს და განძის მოკლე აღწერილობა ისე შეადგინეს, რომ არც მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელი და არც ამ განძის პასუხისმგებელი მცველი ექ. თაყაიშვილი არ მიიწვიეს¹. საფრანგეთის მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია ასეთი მოქმედების წინააღმდეგ ექ. თაყაიშვილის მიერ წარდგენილ დასაბუთებულ პროტესტს.

საქართველოდან წაღებული სამუზეუმო კოლექციების, ძველი ხელნაწერების ისტორიული დოკუმენტების და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების აღწერა, სიის შედგენა და არსებულ სიებთან მისი შეჯერება-შემოწმება ამ სტრიქონების ავტორს დაევალა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ღირექციას დაევალა იმ განძეულობის სრული სიის შედგენა, რომელიც წაღებული იყო საქართველოდან მენშევიკების მიერ. ღირექციამ მომანდო სამუზეუმო ინვენტარის წიგნებიდან ამომეწერა სია წაღებული განძეულობისა. მე შევესარულე ეს სამუშაო როგორც ტექნიკურმა მდივანმა. ამ დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ვსწავლობდი და ზშირად ვმუშაობდი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმებში, რომელთაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე სართულის ნაწილი ეკირათ. მუზეუმების საინვენტარო წიგნებში აღნიშნული იყო ყველა ის ნივთი, რომელიც მენშევიკური მთავრობის განკარგულებით გაიტანეს საფრანგეთში. ამ ორი მუზეუმიდან წაღებული ნივთების ძირითად სიას შემდეგ დამატა იმ კოლექციების სია, რომლებიც საქართველოს მუზეუმიდან და საქართველოს ეროვნული გალერეის ფონდებიდან იყო წაღებული. ამავე სიას, სათანადო შემოწმების შემდეგ, დამატა ქუთაისის, ზუგდიდის და ოზურგეთის ხაზინებიდან წაღებული ნივთების სია. ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ მთავრობის საგანგებო კომისიამ შეადგინა ყველა იმ სამუზეუმო კოლექციის საერთო სია, რომლებიც საქართველოდან იყო გატანილი 1921 წელს. ამ სიას თან ერთოდა თვითიწერილი წაღებული ნივთის სავარაუდო ღირებულება ოქროს ვალუტაზე; სიის ერთი ასლი თან უნდა წაგვეღო საფრანგეთში, რათა საშუალება გვქონოდა ადგილობრივ შეგვემოწმებინა რამდენად იყო დაცული გატანილი განძეულობა.

1944 წ. 27 დეკემბერს სავსებით დამთავრდა საფრანგეთში გამგზავრებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმება. როგორც ცნობილია, უფრო ადრე, 3 დეკემბრიდან 10 დეკემბრამდე მოსკოვს ეწვია საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გენერალი დე გოლი. სათანადო მოლაპარაკებების შედეგად დადებულ იქნა ხელშეკრულება საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომლის სრული ტექსტი გამოქვეყნდა 1944 წლის 19 დეკემბერს გაზეთ „იზვესტიაში“. როგორც შემდეგ გამოირკვა, პირადი შეხვედრის დროს ი. სტალინი ესაუბრა გენერალ დე გოლს საფრანგეთში და-

¹ აქტი ყუთების გახსნის შესახებ და განძის მოკლე აღწერილობა ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ცული საქართველოს განძეულობის შესახებ და მისგან დაპირება მიიღო ქონების დაბრუნების შესახებ.

1945 წ. 12 იანვარს ქონების მიმღები კომისია ორი პირის შემადგენლობით თვითმფრინავით გავემგზავრეთ თეირანში; სამი დღის შემდეგ ჩავფრინდით ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში. ირანის დედაქალაქში ყოფნისას განსაკუთრებული ყურადღებით დავათვალიერეთ ირანის კულტურის სახელმწიფო მუზეუმი. ერთი დღით ბაღდადში მოგვიხდა გაჩერება. იქაური მუზეუმის კოლექციებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე — გავეცანით შოფლიო ხელოვნების ერთ-ერთი დიდი ცენტრის საუნჯეს. თვითმფრინავიდან დავინახეთ ღრუბლებით შემოსილი სინას მთა, სადაც შუა საუკუნეთა მანძილზე ქართული მწერლობისა და სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო კერა არსებობდა. სამწუხაროდ, ჩვენი დრო მეტად შეზღუდული იყო. ორი დღის განმავლობაში ვეცნობოდით ძველი ეგვიპტის ძეგლებს, კერძოდ პირამიდებს, დავათვალიერეთ ფრანგ არქეოლოგთა გათხრები სფინქსის მახლობლად; წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ეგვიპტის დედაქალაქის არქიტექტურამ, მუზეუმების კოლექციებმა.

19 იანვარს ჩავედით მარსელში, 20 იანვარს ერთი დღით გავჩერდით ქ. დიქონში, 21 იანვარს ჩვენი თვითმფრინავი დაეშვა პარიზში ორლის აეროდრომზე, სადაც გველოდებოდნენ სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენლები. ჩვენ შეგვატყობინეს, რომ საქართველოს განძეულობა გენერალ დე გოლის სასწრაფო განკარგულებით უკვე მიეღოთ საბჭოთა კავშირის საელჩოს და თავის სეიფში შეენახა. სსრ კავშირის ელჩის ა. ე. ბოგომოლოვის განკარგულებით მე სასტუმრო „ბრისტოლიდან“ საცხოვრებლად გადავედი ჩვენი საელჩოს შენობაში.

22 იანვარს დღით ჩვენი საელჩოს წევრებთან ერთად დავესწარით სორბონის უნივერსიტეტის საზეიმო გახსნას. ეს იყო ფრანგი ხალხის ნამდვილი ეროვნული დღესასწაული: გერმანელი ოკუპანტების განდევნის შემდეგ აღდგა ევროპის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც დახურული იყო გერმანელ ფაშისტთა ბატონობის დროს. უნივერსიტეტის წინ ორ მწკრივად იდგნენ სტუდენტები, რომლებმაც ოვაცია გაუმართეს სსრკ წარმომადგენლებს. საზეიმო კრება გახსნა სორბონის უნივერსიტეტის რექტორმა, შეასრულეს საფრანგეთის სახელმწიფოს ჰიმნი, შემდეგ — სსრკ და სხვა მოკავშირე სახელმწიფოების ჰიმნები, რის შემდეგაც დაიწყო საზეიმო სხდომა.

იმავ დღეს საღამოს ვინახულეთ ექ. თაყაიშვილი, რომელიც სსრკ გენერალური კონსულის ბინაში ცხოვრობდა. იგი მოუთმენლად ელოდა ჩვენს ჩასვლას. ვერ აგიწერთ მის სიხარულს; მან მოიგონა უნივერსიტეტი — მშობლიური უმაღლესი სასწავლებელი, ჩვენი სტუდენტობა და სხვ.

— როგორ დაბერებულხარ, ძლივს გიცანი, — იყო მისი პირველი სიტყვები. იგი ამ დროს უკვე 82 წლისა იყო, თავს კარგად არ გრძნობდა, ავადმყოფობდა. მე ხშირად ვნახულობდი მას, დაწვრილებით გავაცანი კოლექციების აღწერისა და შემოწმების შედეგები; დაძაბულად ვმუშაობდი წარმომადგენლობის სეიფში დღითა და ღამით, შესვენების საათებში ვეცნობოდი პარიზის მუზეუმებს, ამ ქალაქის ძეგლებს, არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშებს, სამხატვრო გამოფენებს. მოვიხიბლე ქალაქის ზღაპრული სილამაზით, სადაც ყოველი კუთხე დიდი ფრანგი ხალხის კულტურაზე მეტყველებს. დიდი ინტერე-

სითა და ყურადღებით ვუსმენდი გამოჩენილ ფრანგ მეცნიერთა ლექციებს, რამდენჯერმე დავესწარი სემინარულ მუშაობას, ხშირად ვათვალიერებდი ბუკინისტურ მალაზიებს.

დაძაბული მუშაობის შედეგად უკვე 15-თებერვლისათვის დავამთავრე კოლექციების აღწერა და სიის შეჯერება თბილისიდან ჩამოტანილ სიებთან. საესებით დოკუმენტურად დადგინდა, რომ ყველა კოლექცია, ცალკეული ნივთი და დოკუმენტი უკლებლივ იყო შენახული. სიების შედგენისა და შეჯერების შემდეგ ყველა ნივთი საგანგებოდ შევფუთეთ და ყუთებში ჩავალაგეთ. მუშაობის პერიოდში ექ. თაყაიშვილი ავადმყოფობდა, მაგრამ საქმის ვითარებას გაცნობილი იყო ჩემი მეშვეობით.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საფრანგეთის მთავრობამ მოახდინა საქართველოდან ჩამოტანილი განძის კონფისკაცია, როგორც უპატრონო ქონებისა. ამ დღიდან ექ. თაყაიშვილმა არ იცოდა ნივთების ბედი და როცა გაიგო, რომ ყველაფერი ხელუხლებელი აღმოჩნდა, მეტად გაეხარდა.

თუმცა 1945 წლის 15 თებერვლისათვის მთელი სამუშაო უკვე დამთავრდა, მაგრამ პარიზიდან სამშობლოში გამომგზავრება და ნივთების წამოღება სახიფათო იყო, ვინაიდან ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ჩვენ მოსკოვიდან ველოდით თვითმფრინავებს 15 თებერვლიდან 4 აპრილამდე.

ნივთების წამოსაღებად მოსკოვიდან მოფრინდა სამი თვითმფრინავი. ერთი მათგანი დაიტვირთა საბჭოთა საელჩოს საარქივო მასალებით და მოსკოვში გაიგზავნა. როდესაც გვაცნობეს, რომ აღნიშნული თვითმფრინავი მშვიდობით ჩავიდა სამშობლოში, მაშინვე — ერთი დღის განმავლობაში — დავტვირთეთ დანარჩენი ორი თვითმფრინავი განძეულობით, თან წავიყვანეთ შეიარაღებული მცველები და 5 აპრილს სამშობლოში გავემგზავრეთ. ორი დღე შევჩერდით რომში, შემდეგ გავემგზავრეთ ქაიროში, სადაც აგრეთვე ორი დღე დავჩიით; ქაიროდან ჩავედით თეირანში, ხოლო 12 აპრილს ჩვენი თვითმფრინავები თბილისის აეროდრომზე დაეშვნენ.

ექ. თაყაიშვილი მეტად ღელავდა ამ ხანგრძლივი საპაერო მოგზაურობის დროს. ეს იყო მისი პირველი მგზავრობა თვითმფრინავით. მან ჯერ კიდევ წამოსვლისას ჩამომართვა სიტყვა, რომ თუ გზაში ცუდი რამ მოუვიდოდა, არსად არ დავტოვებდით და ცოცხალსა თუ მკვდარს სამშობლოში ჩამოვიყვანდით. საბედნიეროდ მან ეს ხანგრძლივი მოგზაურობა კარგად აიტანა, ხოლო სამშობლოს ნახვამ მეტი მხნეობა და სულიერი ძალა შესძინა.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ექ. თაყაიშვილის მოღვაწეობა და მისი დიდი ამაგი მშობლიური ხალხის წინაშე. იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ქართულად და რუსულად გამოაქვეყნა მისი კაპიტალური შრომა: არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, აგრეთვე მისი სხვა შრომები. ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექ. თაყაიშვილი გარდაიცვალა 1953 წლის 21 თებერვალს 90 წლის ასაკში.



როგორც კი საქართველოს სამუზეუმო განძი თბილისში ჩამოვიტანეთ, საქართველოს მთავრობამ დანიშნა მიმღები კომისია, რომელმაც ერთხელ კი-

დევ შემოწმა ჩამოტანილი სამუზეუმო ნივთები. შემოწმება ორი თვის განმავლობაში წარმოებდა, რის შემდეგაც აკად. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით შედგა ამ ნივთების აღწერილობა. ეს აღწერილობა რუსულ ენაზე ცალკე ბროშურის სახით დაიბეჭდა კიდეც 1946 წელს. («Опись грузинских музейных ценностей, вывезенных бывшим меньшевистским правительством за границу в 1921 г. и возвращенных из Парижа в Грузию в 1945 г. составленная приемочной комиссией СНК ГССР»).

აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებით ხელნაწერები და საარქივო დოკუმენტები გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას (ამჟამად სსსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი), არქეოლოგიური კოლექციები — საქართველოს მუზეუმს, ხოლო ხელოვნების ნაწარმოებნი — მთლიანად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

ჩამოტანილი განძეულობიდან ზოგიერთ კოლექციას ქართული მხატვრული კულტურისა და ხელოვნების ისტორიისათვის უნიკალური მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ახალგორის განძი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნით თარიღდება, მსოფლიო მნიშვნელობისაა. ასეთივე დიდად მნიშვნელოვანია ანტიკური ხანის ოქროს სამკაულები, აღმოჩენილი სარგვეშის, ქსნისა და სტეფანწმინდის ნეკროპოლებში; უნიკალურია ქართული ტიხრული მინაქრისა და ოქრომჭედლობის ნიმუშები — IX საუკუნის ორი ჯვარი მარტვილიდან, რომლებიც მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს წარმოადგენენ. სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ხელოვნებისა და ისტორიისათვის თამარ მეფის ოქროს ჯვარს, შემკულს ძვირფასი ინდური ქვებითა და ისტორიული წარწერით. ადამიანის თვალს ხიბლავს თამარის ეპოქის უდიდესი ქართველი ოქროსმქანდაკელების ბეჟა და ბეშქენ ოპიზარების მიერ შესრულებული წყაროსთავისა და ბერთის ოთხთავების მოჭედილობა (პირველი ეკუთვნის ბეჟას, ხოლო მეორე — ბეშქენს).

ჩამოტანილი საუნჯე შეიცავს ბევრ ძველ ქართულ ხელნაწერს — ორიგინალურსა და ნათარგმნ თხზულებებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შემკულია საუცხოო ილუსტრაციებითა და დეკორაციული მორთულობით, რაც სახელგანთქმულ დიდ ოსტატთა მიერ არის შესრულებული. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ: ქართულ სვინაქსარს, გადაწერილს კონსტანტინეპოლში 1030 წელს, იგი შემკულია 78 მინიატურით; ალავერდის ოთხთავს, გადაწერილსა და დასურათებულს იოანე დვალის მიერ, გელათის ოთხთავს 292 მინიატურითა და მორთულობით, რომლებიც შესრულებულია XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე.

ქართული მინიატურის ისტორიისათვის მეტად საყურადღებოა მოქვის ოთხთავის 238 ილუსტრაცია, რომლებიც შესრულებულია 1300 წელს.

მეტად მნიშვნელოვანია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია და შემკულია ლამაზად გაფორმებული აშიებით ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ გიორგი XI ბრძანებით 1680 წელს. ასევე მნიშვნელოვანია „ვეფხისტყაოსნის“ უფრო ადრინდელი ხელნაწერი, გადაწერილი და დასურათებული 1646 წ. ზუგდიდში სამეგრელოს მთავრის ლევან II ბრძანებით იმერთის მეფის კალიგრაფის მამუკა თავაქარაშვილის მიერ.

ცალკე უნდა აღინიშნოს გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა, მეცნიერთა და მწერალთა მემორიალური ნივთები, რომლებიც აქ არის დაცული.

ჩამოტანილი განძეულობა შეიცავს აგრეთვე დასავლეთ ევროპის ხელოვნების ბევრ თვალსაჩინო ნაწარმოებს. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგ სურათებს (დედნებს): „შეუფერებელი ქორწინება“ ლ. კრანახისა (უფროსი) (1472—1553), „მლოცველი ბერ-მონაზონი“ რემბრანდტისა (1606—1669), „ტალირანის პორტრეტი“ პ. პრუდონისა (1758—1823), „პირველი კონსული ხევს ამიენის ტრაქტატს“ ლ. დავიდისა (1748 — 1825)“ და სხვ.

შეუძლებელია აქ თუნდაც დაახლოებით ჩამოითვალოს ის უმნიშვნელოვანესი ნივთები, რომლებსაც პარიზიდან ჩამოტანილი საუნჯე შეიცავს¹, ეს განძეულობა უძვირფასესია ქართული კულტურის ისტორიისათვის, იგი მნიშვნელოვანია საერთო საკაცობრიო კულტურისათვისაც და კიდევ დიდხანს იქნება ხელოვნებისმცოდნეთა და კულტურის ისტორიკოსთა შესწავლის საგანი.

¹ წიგნის ბოლოში დართულია განძეულობის სია და მოკლე აღწერილობა.

1921 წელს საზღვაკგაერთ გაგანილი და 1945 წელს საქართველოში დაბრუნებული
განძეულობის სია

ქველი ქართული ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები

1. სვინაქსარი. ეტრატი, 78 მინიატურით შემკული, გადაწერილია 1030 წ. კონსტანტინეპოლში. (27×21). მინიატურები შესრულებულია მაღალ მხატვრულ დონეზე, რაც დამახასიათებელია XI ს. პირველი ნახევრის ქართული დასურათებული ხელნაწერებისათვის. ილუსტრაციებს აქვს მსოფლიო მნიშვნელობა.

2. „კავშირნი ღმრთისმეტყუებითნი“ პროკლე დიადოხოსისა. თარგმანი და კომენტარები XI—XII სს. გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწისა. ქალაღი (34×25); ნუსხური. უძველესი ნუსხა ამ თხზულებისა გადაწერილია კალიგრაფიული ხელით.

3. მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული. ეტრატი, (38×29), X ს. აქვს სანოტო ნიშნები. 277 ფურცელი. ჩასმულია ტყავის ყდაში.

4. ოთხთავი. გადაწერილი XII ს. ნაწყვეტი (9 ფურცელი). ორ ფურცელზე გამოსახულია „კამარები“ (23×18). ხელნაწერშია ფურცლები მათე და მარკოზ მახარებლის გამოსახულებით. ერთ ფურცელზე გამოსახულია (15,5×12,5) ლუკა მახარებელი.

5. ათი მინიატურა შ. რუსთველის პოემიდან „ვეფხვის ტყაოსანი“. XVII ს.

6. შ. რუსთველის პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“. ქალაღი. გადაწერილი 1680 წ. ცნობილი კალიგრაფის ბეგთაბეგის მიერ, ქართლის მეფის გიორგი XI-ის დავალებით. ხელნაწერის გვერდები შემკულია ოქროთ დაწერილი ბორდიურებით, ჩასმულია ოქროთი ტვიფრულ ყდაში.

7. ქსნის ოთხთავი. ეტრატი (23×19), X ს. 185 ფურცელი. უყდო. ძლიერ დაზიანებული. დასაწყისში შემონახულია ორი მხატვრულად შესრულებული კამარა.

8. ოთხთავი. ეტრატი (16×12). ტექსტი დაწერილია ორ სვეტად ასომთავრულით. ხელნაწერი დაზიანებულია. 250 ფურცელი. შემკულია XI ს. მთავრული ასოებით. მინიატურები თარიღდება 1054 წლით.

9. ყანჩაეთის ოთხთავი (23×19). ჩასმულია ტყავის ყდაში. კარგად შენახული. გადაწერილია ორ სვეტად ნუსხურით. ხელნაწერში არის ოთხი მჯდომარე მახარებლის გამოსახულება.

10. დიდი სჯულისკანონი. არსენ იყალთოელის თარგმნილი. ქალაღი



1
 2
 3
 4
 5
 6
 7
 8
 9
 10
 11
 12
 13
 14
 15
 16
 17
 18
 19
 20
 21
 22
 23
 24
 25
 26
 27
 28
 29
 30
 31
 32
 33
 34
 35
 36
 37
 38
 39
 40
 41
 42
 43
 44
 45
 46
 47
 48
 49
 50
 51
 52
 53
 54
 55
 56
 57
 58
 59
 60
 61
 62
 63
 64
 65
 66
 67
 68
 69
 70
 71
 72
 73
 74
 75
 76
 77
 78
 79
 80
 81
 82
 83
 84
 85
 86
 87
 88
 89
 90
 91
 92
 93
 94
 95
 96
 97
 98
 99
 100

მე

ხარება. ზაქარია ვალაშკერტელის სეინაქსარის მინიატურა. 1030 წ.



ჯვარი აყვავებული. ალავერდის ოთხთავი. 1054 წ. მხატვარი იოანე დვალი.

(33×24). დაწერილია ორ სვეტად ნუსხურით. XIII—XIV სს. ხელნაწერი შეიცავს უფრო მოგვიანო ხელით დაწერილ ფურცლებსაც. 296 ფურცელი.

11. ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. ხელნაწერი ქალაღზე (24×18), ჩასმულია ტყავის ყდაში. გადაწერილია 1674 წ. ონოფრე მთიულის მიერ ევდემონ ურბნელისათვის. ნუსხური. ხელნაწერი ილუსტრირებულია.

12. ეფრემ მცირის თარგმანთა კრებული. დაწერილია ორ სვეტად ნუსხურით. XI—XII სს. დასაწყისი და ბოლო აკლია. 148 ფურცელი. 58-ე გვერდზე გამოსახულია 12 ზოდიაქო მზის ირგვლივ.

13. ოთხთავი. ეტრატი. დაწერილია ორ სვეტად ასომთავრულით; მოხატული ინიციალებით (29×23). დეფექტური (149 ფურცელი). XI ს. ხელნაწერი ჩასმულია წითელ ტყავგადაკრულ ფიცრულ ყდაში.

14. VI მსოფლიო კრების სჯულის კანონი, ექვთიმე მთაწმიდელის თარგმნილი. ეტრატი. ნუსხა-ხუცური (19×15); 1028 წ. 208 ფურცელი. აქვს თავსართი.

15. ურბნისის ოთხთავი. გადაწერილია XI ს. იოანე ტატანელის მიერ მრგლოვანი ხელით. ეტრატი (20×14); მოხატულია კამარებით და ინიციალებით. აქვს მრავალი მინაწერი. პირველ ფურცელზე წარმოდგენილია ორი კამარა, რომელიც ზემოთაა წაჭრილი. ხელნაწერი ჩასმულია ტყავგადაკრულ გატეხილ ფიცრულ ყდაში.

16. ოთხთავი და საქმე მოციქულთაჲ, ალავერდიდან; ეტრატი. დაწერილია XVI ს. ორ სვეტად ნუსხა-ხუცურით (12×19). ჩასმულია ოქროს ქედურ ყდაში, რომელიც შემკულია ძვირფასი ქვებით (57 ც.). ყდის საკეტში ოქროს შილია. მინიატურები გამოხატავენ მახარებლებს. ხელნაწერში ჩადებულია სანისზე შემკული 42 მარგალიტით და ზურმუხტით.

17. ქვეშის ოთხთავი. ჩასმული მოგვიანო ვერცხლის ქედურ ყდაში, რომელიც მოქედნილია. ქალაღი. გადაწერილია 1673 წ. ორ სვეტად ნუსხა-ხუცურით (13×10); 315 ფურცელი. ხელნაწერში არის მაღალი ოსტატობით შესრულებული მინიატურები და თავსართები (გამოხატავენ 15 კომპოზიციას ახალი აღთქმიდან და მახარებლებს).

18. ალავერდის ოთხთავი. ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი. ეტრატი (24×18). გადაწერილია 1053 წ. გიორგი და მიქაელის მიერ. დასურათებულია იოანე დვალის მიერ. ხელნაწერი მორთულია კამარებით, თავსართებით, ოთხი მახარებლის გამოსახულებით და 5 მინიატურით, რომლებიც ასურათებენ აპოკრიფულ ეპისტოლეს ავგაროზ ედესის მეფისა ქრისტესადმი. კიდევებზე იკითხება ისტორიული მნიშვნელობის მინაწერები.

18-ა. ალავერდის ოთხთავის ყდა. ყდის წინა მხარეს, რომელიც წარმოადგენს ოქროცურვებულ ვერცხლს, შენარჩუნებულია ქრისტეს წელსზედა გამოსახულება. შესრულებულია ფერწერით. ყდის მეორე მხარეს გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმითურთ, რომელიც ამჟამად გადასულია. ყდის წინა მხარეს მოცემულია XI ს. მინაქრის პატარა ხატი წმიდა გიორგის გამოსახულებით და წარწერით „გიორგი“. ყდის ზედა მხარე შემკულია ძვირფასი ქვებით (36 ც.) და მარგალიტით (30 ც.). ხელნაწერში წმიდა ნაწილებია.

19. ტბეთის ოთხთავი. ეტრატი. ნუსხური (27×20); XII ს. ჩასმულია მოქედილ ყდაში, რომელზედაც გამოსახულია ქრისტე და მოციქულნი. ყდა

დაზიანებულია. ხელნაწერს შემორჩენილი აქვს გვიანი ხანის მინიატურები. გადაწერილია გიორგი III მეფობის დროს იოანესა და პავლეს მიერ.

20. ოთხთავი ქვათახევის მონასტრიდან. ქალაღი (31×21). 44 ფურცელი. ფურცლები დაზიანების შედეგად ტყდება. აქვს რუსული ხელობის ვერცხლის ყდა.

21. წყაროსთავის ოთხთავი. ეტრათი (25×18). 274 ფურცელი. შემკულია ოთხი მახარებლის მინიატურით. ჩასმულია ბეჭა ოპიზარის მიერ მოჭედილ ყდაში. აქვს ძვირფასი ქვები (6 ც.). გადაწერილია საფარელ-მტბევიარის დაკვეთით იოანე და გიორგის მიერ XII ს. ხელნაწერი გელათიდანაა.

22. ბერთის ოთხთავი. ეტრათი (22×17); 349 ფურცელი. შემკულია მინიატურებით: ოთხი მახარებლის გამოსახულებით. ყდა მოჭედილია ბეშქენ ოპიზარის მიერ, რომლის სახელი იკითხება ყდის პირველ გვერდზე. ჩასმულია ყდაში. ყდა შემკულია 8 ძვირფასი ქვით და 3 მარგალიტით, გადაწერილია იოანე ოპიზარის მიერ XII ს. ხელნაწერი მოთავსებულია ძველებურ ქსოვილის ჩანთაში. გელათიდან.

23. გელათის ოთხთავი. ეტრათი (26×18). XI ს. ბოლო. შემკულია კამარებით და მინიატურებით, რომლებიც გამოხატავენ მახარებლებს და ტექსტის ილუსტრაციებს (292). აქვს სანიშნე 44 ძვირფასი ქვით შემკული და ვერცხლის ბუდე. ხელნაწერი მსოფლიო მნიშვნელობისაა.

24. ოთხთავი. ეტრათი. ნუსხური (15×11); 248 ფურცელი. ხელნაწერი ჩადებულია ვერცხლის გრეხილურ ბუდეში. გადაწერილია 1504 წ. ვინმე აკაკის მიერ ყვარყვარე ათაბაგის ასულის დედოფალ თამარის დაკვეთით. ხელნაწერი შემკულია მახარებელთა გამოსახულებებით, თავსართავებით და მოხატული ინიცილებით. მინაწერებში არის მოცემული სამცხის ათაბაგთა და მათი ოჯახის წევრების გარდაცვალების თარიღები: ბაადური (1474), დედისიმედი (1489), ყვარყვარე (1499) და ჭაიხოსრო (1500). ყდის შიდა მხარეს ჩასმულია ოთხი გამოსახულება.

25. „თეთროსანული“ დავითნი. ქალაღი (24×18). ნუსხური. ჩასმულია შის გატეხილ ყდაში. აქვს მინიატურები, რომლებიც შემდეგ ჩაწებებულია XIV—XV სს. ხელნაწერში.

26. აკათისტო. ქალაღი. ნუსხური (20×14). 87 ფურცელი. 72 მინიატურა. შესრულებული კათალიკოს ნიკოლოზ ამილახვარის დაკვეთით. გადაწერილია 1681 წ.

27. ოთხთავის ნაწყვეტები და ლოცვანი (8,5×6). მხედრული. ქალაღი. XVII ს. 56 ფურცელი. აქვს 7 მინიატურა წმიდანთა გამოსახულებით.

28. აკათისტო. ქალაღი. ნუსხური. XVII ს. 80 ფურცელი. შემკულია 10 მინიატურით. ეკუთვნოდა ერეკლე II-ს.

29. ოთხთავი. ქალაღი. ნუსხური (6×4). 41 რვეული. (328 ფ. ?). ფურცლები დაზიანებულია. გადაწერილია XVII ს. შემკულია თავსართავებით.

30. საწელიწდო. ქალაღი. ნუსხური (10×7). XVII—XVIII სს. გადაწერილია ვახტანგ VI-ის დაკვეთით, იესე გარსევანიშვილის მიერ. ჩასმულია ტყავის ყდაში.

31. „ვეფხვის ტყაოსანი“. ქალაღი. გადაწერილია 1646 წ. კალიგრაფ მამუკა თავაქარაშვილის მიერ. 247 ფურცელი.

32. ჟამნ-გულანი. ქალაღდი. დაწერილია ორ სვეტად (28×18). აქვს ილუსტრაციები. გადაწერილია 1661 წ. ჩასმულია ტყავის ყდაში.

33. „ვეფხვის ტყაოსანი“. ქალაღდი. გადაწერილია 1671 წ. (34×23). 268 ფურცელი. დასაწყისში აქვს თავსართი.

34. დიდი სჯულისკანონი. ქალაღდი. ნუსხური (32×21). გადაწერილია 1758 წ. კათალიკოს იოსების დაკვეთით იოანეს მიერ.

35. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი. ქალაღდი. მხედრული (29×21). გადაწერილია რაჭის ერისთავის როსტომის დაკვეთით 1751 წ.

36. ვახტანგ VI კანონთა კრებული. ქალაღდი. მხედრული (32×24). გადაწერილია 1841 წ. 200 ფურცელი.

37. ძველი ნაბეჭდი ოთხთავი. ჩასმული რუსული ხელობის ოქროცურვებული ვერცხლის ყდაში.

38. ოთხთავი. ქალაღდი (11,5×8,5). 340 ფურცელი. შემკულია თავსართავებითა და ოთხი მახარებლის გამოსახულებით. აქვს ტყავის ყდა. ჩასმულია XIX ს. რუსული ხელობის ვერცხლის ბუდეში. ხელნაწერში არის სანიშნე შემკული მარგალიტებით.

39. ოთხთავი. ქალაღდი (10×7,5). შემკულია ოთხი მახარებლის გამოსახულებით. აქვს ძველი ტყავის რუსული ხელობის ტვიფრული ყდა. ჩასმულია რუსული ხელობის ვერცხლის ბუდეში.

40. ოთხთავი. ქალაღდი. დაწერილია ორ სვეტად ნუსხურით (13×8,5). შემკულია ოთხი მახარებლის გამოსახულებით და თავსართებით. 168 ფურცელი. გადაწერილია XVIII ს. ხელნაწერის ბუდე დამზადებულია ოქროცურვებული ვერცხლისაგან. სოლომონ მეფის დაკვეთით 1776 წ. ხელნაწერი გელათიდანაა.

41. ოთხთავი. ეტრატი (22×17). 266 ფურცელი. დაწერილია ორ სვეტად ნუსხურით. შემკულია ოთხი მახარებლის გამოსახულებით და თავსართებით. XII—XIII სს. ჩასმულია ქედურ ვერცხლის ყდაში. დაზიანებულია. ყდის ერთ მხარეს მოცემულია „ჯვარცმა“, მეორე მხარეს „ჯოჯობეთს წარტყვევნა.“ ყდა XVI ს.

42. ოთხთავი. ეტრატი. XII—XIII სს. მახარებელთა გამოსახულება და თავსართები მიეკუთვნება XIV ს. ვერცხლის ყდა შესრულებულია საზიკონის მიერ.

43. ოთხთავი. მარტვილიდან. სინესტისაგან დაზიანებული. (8,5×6). ჩასმულია ვერცხლის ყდაში, რომელზედაც გამოსახულია „ჯვარცმა“ და ქრისტეს „ჯოჯობეთს წარტყვევნა“. XVIII ს.

44. ოთხთავი. ქალაღდი. ნუსხური (11×8,5). 255 ფურცელი. გადაწერილი 1704 წ. მიტროპოლიტ ნიკიფორეს დაკვეთით. ჩასმულია ვერცხლის ყდაში, რომელიც დამზადებულია 1804 წ. მიტროპოლიტ დავითის დაკვეთით ოსტატ მამჯანის მიერ.

45. ოთხთავი. მარტვილიდან. დაზიანებული. ჩასმულია ვერცხლის ყდაში (8,5×5,5), რომელზედაც გამოსახულია „ჯვარცმა“ და „ჯოჯობეთს წარტყვევნა“.

46. ოთხთავი. მარტვილიდან. ჩასმულია ოქროს ყდაში (8,5×5,5). შემკულია მინაქრით და ძვირფასი ქვებით. მინაქარი არის XVIII ს. ქართული ნამუშევარი.

47. ოთხთავი. ქალაღი. დაზიანებული. ჩასმულია ოქროცურვებულ ვერცხლის ყდაში. (15×9,5).

48. ოთხთავი. ეტრათი. ნუსხური (30×22). გადაწერილია 1300 წ. მოქვეში. ინახებოდა მარტვილში. 238 ფურცელი. შემკულია მრავალრიცხოვანი მინიატურებით და თავსართებით. ყდა ოქროცურვებული ვერცხლის. ერთი მხარე მოცილებული აქვს. ხელნაწერი დაზიანებულია, მიუხედავად ამისა მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ხელოვნების ისტორიისათვის.

49. ოთხთავი. მარტვილიდან (24×14). ტექსტი გადასულია. ჩასმულია მოქვილი ყდაში, რომელიც შესრულებულია ჰყონდიდელ ევდემონ აფაქიძის დაკვეთით ოსტატ ხუხუ ეჯიბიას მიერ.

50. ოთხთავი. ქალაღი. ნუსხური (14×10). 226 ფურცელი. ხელნაწერში დაცულია მინიატურები მახარებელთა გამოსახულებით. გადაწერილია გიორგი XI-ის მეფობის დროს 1687 წ.

51. სახარების საკითხავები მთავარ საეკლესიო დღესასწაულებზე. ქალაღი. დაზიანებული. დაწერილია ორ სვეტად (16×11). 240 ფურცელი. ჩასმულია ოქროცურვებულ ვერცხლის ყდაში, რომელსაც აქვს რელიეფური გამოსახულებანი, 8 დიდი და 58 პატარა ქვებით მოქვილი.

